

რამდენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია/რესტავრაცია განხორციელა 2016-2017 წლებში თელავის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ? (გთხოვთ, მოგვაწოდოთ თითოეული ძეგლის დასახელება და მისამართი, ასევე რა ოდენობის თანხა დაიხარჯა?

---

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ფონდი „ქართუს“ მიერ თელავის მუნიციპალიტეტში 2016-17 წლებში განხორციელებული რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის პროექტები

2017 წელი (პირველი ეტაპი)

- თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვარდისუბნის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

2016 წელი

- თელავის მუნიციპალიტეტის, აკურას მამა დავითის ეკლესიის რეაბილიტაციის II ეტაპი
- თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ გულგულას "კვირაცხოვლის" სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია

იმ მიზეზით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასახელებულ ძეგლებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, საპროექტო ბიუჯეტები კონკრეტულ პროექტებზე კონფიდენციალურია.. ფონდი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გაწეული დაფინანსების ჯამურ ანგარიშს ყოველწლიურად აქვეყნებს..

---

2016-2017 წლებში, რომელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის თხოვნით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემის გამგეობამ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს?

თელავის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემის გამგეობის მიერ 2016-17 წლებში წერილობითი მომართვების ძირითადი უმრავლესობა შეეხება საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს მიერ მინიჭებული ძეგლის სტატუსის შენობა - ნაგებობებზე მუნიციპალური სამსახურების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების ნებართვებს, თანხმობებს, შესწავლა-შეფასებისა და მიღება - ჩაბარების მოთხოვნებს...

2 წლის განმავლობაში სააგენტოში შემოსულია 13 წერილი

მათგან:

29/03/16 - ითხოვდნენ ქ. თელავში არსებული ბატონის ციხის კომპლექსში შემავალი საზარბაზნე ბურჯის არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებას.

18/11/16 -პრაქტიკული რეკომენდაციების გაცემისთვის ითხოვდნენ სპეციალისტის გამოყოფას თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. რუისპირში მდებარე, "ადამანთ ციხის" მცირე საცხოვრებელი ციხე-დარბაზის მცენარეული საფარისგან გაწმენდის სამუშაოების დაწყებამდე..

3/02/16 - ითხოვდნენ ე. ახვლედიანის სამხატვრო სკოლის მოაჯირის რესტავრაციაზე ნებართვას

26/07/16 - ითხოვდნენ კვირიკე დიდის ქუჩაზე მდებარე საცხ. სახლის ჭიშკრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვას

22/08/16 - თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდალში, ტოლნიანის უბანში მდებარე მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის რეაბილიტაციის საკითხის განხილვას "ქალთა ცენტრი კერას " თანამონაწილეობით..

08/11/16 - ითხოვდნენ ე. ახვლედიანის სამხატვრო სკოლის მოაჯირის რესტავრაციაზე ნებართვას

9/12/16 - ითხოვდნენ კვირიკე დიდის ქუჩაზე მდებარე საცხ. სახლის გალავნის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება - ჩაბარებას

26/01/17 ითხოვდნენ ერეკლე მეორის #4 ში მდებარე ე. ახვლედიანის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვაზე ვადის გაგრძელებას

02/02/17 ითხოვდნენ ახვლედიანის ქუჩაზე ბაგა ბადის ჭიშკრის რეაბილიტაციაზე ნებართვას

20/03/17 - ითხოვდნენ ბაგრატიონის #24 ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე (დაცული ზონა - ძეგლის სტატუსი არ აქვს) თანხმობას მანსარდის დაშენებაზე

22/03/17 - ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, ითხოვდნენ რეკომენდაციებს თელავის მერიის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე განხორციელებულ სარეაბილიტაციო და არქეოლოგიურ სამუშაოებზე.

27/04/17 - ითხოვნენ ნადიკვარის #24/26 ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე თანხმობას (დაცული ზონა - ძეგლის სტატუსი არ აქვს)

05/05/17 - ითხოვნენ ერეკლე მეორის #4 ში მდებარე ე. ახვლედიანის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება - ჩაბარებას